

*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

## **განმარტებითი ბარათი**

**„ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

**საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილების პროექტზე შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ**

შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ საკუთრებაშია 231.2 მგვტ დადგმული სიმძლავრის კომბინირებული ციკლის აირტურბინული ელექტროსადგური, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2015 წლის 7 აგვისტოს №13-05 ბრძანებით მიღებულია ექსპლუატაციაში, ხოლო საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 წლის 7 სექტემბრის №49/1 გადაწყვეტილებით საწარმოზე გაცემულია ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია №083, სერია 11. „საქართველოს ელექტროენერჯეტიკულ სისტემაში გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №193 დადგენილებით შპს „გარდაბნის თბოსადგურს“ მიენიჭა გარანტირებული სიმძლავრის წყაროს სტატუსი.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 19 დეკემბრის №38 დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში – კომისია) 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში და შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“

*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული  
სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს  
ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

(შემდგომში – საწარმო) 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედების პერიოდზე განისაზღვრა, დღეს მოქმედი, შემდეგი სატარიფო განაკვეთები:

- გარანტირებული სიმძლავრის საფასური დღეზე – **385,893** ლარის ოდენობით, ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა – არაუმეტეს **300** დღისა;
- გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელ.ენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი - **8.012** თეთრი/კვტსთ.

ვინაიდან ზემოაღნიშნული ტარიფები დადგენილი იყო 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედების ვადით, „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლისა და „ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული „გარანტირებული სიმძლავრის საფასურის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების და ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ (შემდგომში – სატარიფო მეთოდოლოგია) 21-ე და 22-ე მუხლების საფუძველზე, გარანტირებული სიმძლავრის საფასურისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის (ზედა ზღვარი) დადგენის მოთხოვნით, საწარმოს მიერ 2018 წლის 4 ივლისის №GAR-01-0407-18-1 (კომისიაში რეგისტრაცია 04.07.2018წ., №8041/01) წერილით კომისიაში წარმოდგენილი იქნა სატარიფო განაცხადი თანდართული მასალებით, რომელიც შეიცავდა შემდეგ დოკუმენტაციას:

1. შევსებული სატარიფო განაცხადი;
2. გრძელვადიანი ძირითადი მატერიალური და არამატერიალური რეგულირებადი აქტივების რეესტრი;



*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული  
სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს  
ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

3. 2017 წლის სასაქონლო ზედნადებებისა და დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურების შემოსავლების სამსახურის RS რეესტრები;
4. 2017 წლის საბანკო ამონაწერები;
5. ოფიციალურად დამოწმებული მოქმედი სამტატო განრიგი შესაბამისი სახელფასო განაკვეთების ჩვენებით;
6. ხელშეკრულებები საკონსულტაციო, აუდიტორულ და იურიდიულ მომსახურებაზე, აგრეთვე, დაცვაზე და საწარმოო ქონების დაზღვევაზე;
7. მოქმედი სასესხო ხელშეკრულება და შესაბამისი ვალდებულებების შესრულების გეგმური გრაფიკი;
8. მოქმედი და 2016-2017 წწ სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების რეესტრი;
9. საგადასახადო ორგანოში წარდგენილი, 2017 წლის ქონების, მოგების, საშემოსავლო და დღგ-ის დეკლარაციები, ასევე, განაცემთა შესახებ ინფორმაცია და საბაჟო დეკლარაციები;
10. 2017 წელს განხორციელებული მივლინებების რეესტრი;
11. ტექნიკური მონაცემები, ცალხაზოვანი და სიტუაციური სქემები.

შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა საწარმოს მიერ კომისიაში წარმოდგენილი იქნა 2017 წლის წლიურ ანგარიშგების ფორმასთან ერთად 2018 წლის 30 აპრილის №GAR-01-3004-18-1 წერილით, რომლის დაზუსტებული (საბოლოო) ვარიანტი კომპანიის მიერ წარმოდგენილი იქნა 2018 წლის 21 მაისის №GAR-01-2105-18-2 წერილით.

სატარიფო განაცხადი, სრულყოფილებისა და კანონშესაბამისობის შესახებ სამართლებრივი შეფასებისათვის, გადაგზავნილი იქნა კომისიის იურიდიულ

*შპს „გარდაზნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული  
სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს  
ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

დეპარტამენტში. ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტმა ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტთან ერთად განიხილა ლიცენზიატი საწარმოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სატარიფო განაცხადთან ერთობლიობაში და ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტის 2018 წლის 6 ივლისის №1926 სამსახურებრივი ბარათის თანახმად მიჩნეულ იქნა, რომ იგი სრულყოფილია და შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, 2018 წლის 6 ივლისის იურიდიულმა დეპარტამენტმა უზრუნველყო №1932 სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა, სადაც აღნიშნული იყო, რომ სატარიფო განაცხადთან დაკავშირებით სამართლებრივი სახის შენიშვნები არ გააჩნიათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის 2018 წლის 17 ივლისის №56/1 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად. გადაწყვეტილების თანახმად ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვრა 2018 წლის 31 დეკემბერი, ხოლო მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად 2018 წლის 1 ოქტომბერი, 18:00 საათი.

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტში (შემდგომში – დეპარტამენტი) დასრულდა მუშაობა აღნიშნულ სატარიფო განაცხადზე და შემდგომი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კომისიისთვის წარმოდგენილია შესაბამისი დადგენილების პროექტი წინამდებარე განმარტებებით.

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად, გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფის პერიოდს, სიმძლავრის თითოეული წყაროს მიხედვით განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.



*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული  
სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს  
ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

მიმდინარე მდგომარეობით, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილებით განსაზღვრულია გარანტირებული სიმძლავრის წყაროები, ამ წყაროების მიერ უზრუნველყოფილი მინიმალური გარანტირებული სიმძლავრეები და გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდები, მათ შორის:

№	გარანტირებული სიმძლავრის წყარო (წარმოების ლიცენზიატი)	თბოსადგურის დასახელება	გარანტირებული სიმძლავრე (მგტ-ში)	გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდი
1	შპს „გარდაბნის თბოსადგური“	აირტურბინული ელექტროსადგური	162	2015 წლის 1 ნოემბრიდან 2040 წლის 1 ნოემბრამდე

**საფუძველი**

„ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებულია „გარანტირებული სიმძლავრის საფასურის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების და ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია“ (დადგენილების დანართი №3) და ასევე, „სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების რეგულირებადი აქტივების ცვეთა/ამორტიზაციის ნორმები“ (დადგენილების დანართი №4) (შემდგომში – დადგენილი ცვეთის ნორმები).

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის (ზედა ზღვარი) გაანგარიშება განხორციელდა ზემოთ ხსენებული მოქმედი სატარიფო მეთოდოლოგიით განსაზღვრული,

*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული  
სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს  
ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული პრინციპების საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს სტაბილურ ფუნქციონირებას, გაწეული გონივრული დანახარჯების ანაზღაურებას და სამართლიანი მოგების მიღებას. ამ მეთოდოლოგიით ტარიფების გაანგარიშება ხდება „დანახარჯები პლუს“ რეგულირების პრინციპის შესაბამისად.

სატარიფო მიზნებისათვის კომისიის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ქვემოთ ჩამოთვლილი საწარმოებისგან წარმოდგენილი იქნა შემდეგი ინფორმაცია:

- *სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“* (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი) 2018 წლის 22 ნოემბრის №6643/17 წერილი – ინფორმაცია 2017 და 2018 წლებში ჩატარებული და 2019 წელს ჩასატარებელი გეგმური რემონტების დღეების რაოდენობის შესახებ, რომელთა განმავლობაშიც საწარმოს არ ჰქონდა/ვერ იქნება უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრე.
- *სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“* (ბაზრის ოპერატორი) 2018 წლის 16 ოქტომბრის №01/1276 წერილი – ინფორმაცია საწარმოს მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის მოცულობების, უზრუნველყოფილ გარანტირებულ სიმძლავრეზე დარიცხული და გადახდილი თანხების, გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფის პერიოდისა და ესკოს მომსახურების საფასურის შესახებ (2017 – 2018 წლის ნოემბრის თვის ჩათვლით).
- *სს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“* 2018 წლის 17 ოქტომბრის №1/08-1-2176 წერილი – ინფორმაცია საწარმოს საკუთრებაში არსებული თბოელექტროსადგურის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის შესახებ (მათ შორის, ელექტროენერჯის წარმოებისა და კომერციული



*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

მოხმარების მიზნების მიხედვით) 2017 წლიდან 2018 წლის ნოემბრის ჩათვლით.

**ტარიფის დადგენის პერიოდი**

სატარიფო მეთოდოლოგიის საფუძველზე, კომისიის მიერ ტარიფები დგინდება ყოველწლიურად, კონკრეტული საწარმოსთვის ინდივიდუალურად და მოქმედებს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. შესაბამისად, აღნიშნული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ახალი სატარიფო განაკვეთების დადგენა უნდა განხორციელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედების პერიოდზე.

**რეგულირებადი აქტივების ბაზა და კაპიტალური დანახარჯები**

**ისტორიული ღირებულება**

საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადის ფარგლებში, ტარიფის გაანგარიშების წლის (2018 წ.) მიმდინარე მდგომარეობით წარმოდგენილი რეგულირებადი აქტივების ბაზა დაფუძნებულია კომისიის ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტის მიერ გასული სატარიფო რეგულირებისას განსაზღვრული და შემდგომ კომისიის მიერ დადგენილი რეგულირებადი აქტივების ბაზაზე და წარმოადგენს მის კანონზომიერ განვითარებას. ამასთან, მოქმედი სატარიფო მეთოდოლოგიით განსაზღვრული კორექტირების მექანიზმების საფუძველზე განხორციელდა 2017 წლის იმ ინვესტიციების, დადგენილი წესით რეგულირებად აქტივების ბაზაში ასახვა, რომლებიც ვერ მოხვდა წინა სატარიფო გაანგარიშებისას (2017 წლის ნოემბერ-

*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული  
სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს  
ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

დეკემბრის თვის ინვესტიციები - 477,595 ლარი). აგრეთვე, აღნიშნული რეგულირებადი აქტივების ბაზა მოიცავს გაანგარიშების (2018) წლის მიმდინარე 8 თვის მდგომარეობით ფაქტობრივად განხორციელებულ, დოკუმენტურად დადასტურებულ ინვესტიციებს 849,964 ლარის ოდენობით.

სატარიფო გაანგარიშების მომენტისთვის შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ რეგულირებადი აქტივების ბაზის სტრუქტურა განისაზღვრა შემდეგნაირად:

წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2017 (დაგეგმილი)	წლიური ცვეთა 2018 (დაგეგმილი)	წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2017 (ფაქტიური)	წლიური ცვეთა 2018 (ფაქტიური)	წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2018	წლიური ცვეთა 2019
491,905,000	19,835,500	492,382,745	19,847,543	472,846,177	19,868,183

შედეგად, საწარმოს კაპიტალური დანახარჯების (ცვეთა/ამორტიზაციის დანახარჯი განისაზღვრა დადგენილი ცვეთის ნორმების, ხოლო ამონაგები აქტივებზე /WACC – კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება – **16,40%**, ასევე, მოქმედი სატარიფო მეთოდოლოგიის მიხედვით) სტრუქტურამ მიიღო შემდეგი სახე:

კაპიტალური დანახარჯების სტრუქტურა	ლარი
წლიური ცვეთა /ამორტიზაცია (DEP)	19,868,183
ამონაგები აქტივებზე (RAB * WACC)	77,546,773
<b>სულ კაპიტალური დანახარჯი (CAPEX = RAB*WACC + DEP)</b>	<b>97,414,956</b>

**საოპერაციო დანახარჯები**

სატარიფო წლისთვის საოპერაციო დანახარჯების განსასაზღვრად გამოიყენება სატესტო 2017 წლის მონაცემები. აღნიშნული მონაცემების სისწორის და უტყუარობის დადასტურების მიზნით საწარმოს მიერ 2018 წლის 21 მაისის №GAR-01-2105-18-2



*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული  
სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს  
ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

წერილით კომისიაში წარმოდგენილი იქნა დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის შპს „ფი-ქეი-ეფ ჯორჯიას“ მიერ დამოწმებული საწარმოს 2017 წლის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც ემთხვევა სატარიფო განაცხადის მონაცემებს. უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული სატარიფო განაცხადის მიხედვით სატესტო წლის ელექტროენერჯის წარმოებასთან დაკავშირებული ცვლადი საოპერაციო დანახარჯები შეადგენს 88,201,438 ლარს (ბუნებრივი გაზის ხარჯი - 87,504,325 ლარი, ქიმიური რეაგენტების ხარჯი - 504,757 ლარი და რეგულირების საფასური - 192,356 ლარი), ხოლო გარანტირებული სიმძლავრის საფასურის დადგენასთან დაკავშირებული ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები შეადგენს 17,986,092 ლარს.

შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზისა და დამუშავების შედეგად საწარმოს საოპერაციო დანახარჯები გარანტირებული სიმძლავრის საფასურისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფის მიზნებისათვის უნდა შეადგენდეს შემდეგს:

- ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები – **16,306,761** ლარი;
- ცვლადი საოპერაციო დანახარჯები – **107,863,182** ლარი.

ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები	სატარიფო განაცხადი	დეპარტამენტის პროექტი	სხვაობა
სახელფასო ფონდი	5,530,414	3,754,704	(1,775,710)
საწარმოო ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი	728,341	726,554	(1,787)
წყლის ტექნიკური მოხმარების ხარჯი	59,322	59,322	-
ელექტროენერჯის კომუნალური და სამეურნეო ხარჯი	278,804	278,804	-
კომუნალური ხარჯი	101,267	101,267	-

შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ

(ელექტროენერჯის გარდა)			
საკომუნიკაციო ხარჯი	76,166	76,176	10
სამივლინებო ხარჯი	57,834	25,106	(32,727)
საკონსულტაციო ხარჯი	114,962	51,962	(63,000)
წარმომადგენლობითი ხარჯი	39,579	21,865	(17,714)
დაცვის ხარჯი	-	320,339	320,339
დაზღვევის ხარჯი	754,402	608,051	(146,350)
ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური	222,029	221,616	(413)
კომისიის რეგულირების საფასური	398,686	230,383	(168,303)
ქონების გადასახადი	4,122,770	4,122,770	-
მიწაზე ქონების გადასახადი	64,572	64,572	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	5,629,302	5,643,270	13,968
<b>ჯამი</b>	<b>18,178,448</b>	<b>16,306,761</b>	<b>(1,871,687)</b>

ცხრილში მოცემულია, როგორც საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი, ასევე დეპარტამენტის მიერ აუდირებული და მიზანშეწონილი მონაცემები.

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, საოპერაციო ხარჯების გარკვეულ ნაწილში დაზუსტება განიცადა საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილმა მონაცემებმა. კერძოდ:

**სახელფასო ფონდი** - შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიხედვით 2017 წლის ბოლოსთვის საწარმოში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 185 ერთეულს:

- ადმინისტრაცია - 95;
- ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი - 84;
- სტაჟიორი - 6.



*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

ხოლო აღნიშნულ თანამშრომელთა ფაქტობრივი წლიური სახელფასო ფონდი კი შეადგენდა 5,530,414 ლარს.

კომპანიის მიერ მიმდინარე სატარიფო საქმისწარმოების დროს ასევე, წარმოდგენილი იქნა მიმდინარე პერიოდის მდგომარეობით მოქმედი საშტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც კომპანია ითხოვდა, რომ სატარიფო გაანგარიშებაში თანამშრომელთა რაოდენობა გათვალისწინებულიყო 238 ერთეული თანამშრომლით, რომელთა წლიური სახელფასო ფონდი შეადგენდა 6,109,500 ლარს.

სატარიფო გაანგარიშებაში გასათვალისწინებელი მიზანშეწონილი სახელფასო ფონდი ნაცვლად კომპანიის მიერ წარმოდგენილი მონაცემისა, განისაზღვრა **3,754,704** ლარის ოდენობით, რომელიც გამოანგარიშდა შემდეგნაირად: წინა სატარიფო გაანგარიშებისას (2018 წლის ტარიფი) კომისიის მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული და სატარიფო გაანგარიშებაში ასახული პერსონალის რაოდენობა შეადგენდა 158 კაცს. ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტმა ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტთან ერთად განიხილა კომპანიის მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგის ცვლილების შესახებ მასალები და კომენტარები, თუ რა საჭიროებით იყო გამოწვეული კომპანიაში კონკრეტული საშტატო პოზიციების დამატება. საწარმოსაგან მიღებული საპასუხო ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მიმდინარე სატარიფო გაანგარიშებაში უნდა მოხდეს 172 საშტატო ერთეულის გათვალისწინება სატარიფო მიზნებისთვის. 14 საშტატო ერთეულის დამატება გამოწვეულია:

- ოპერატიულ-ტექნიკური პერსონალის ვაკანსიების შევსების, აგრეთვე დამატებითი/სარეზერვო (მე-5) ცვლის ოპერატორებისა და ცვლის უფროსის დამატების შედეგად (სულ 12 პოზიცია), რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ სადგურის ოპერატიულ-ტექნიკურ მართვაში, აგრეთვე, უნდა ჩაანაცვლონ დროებით ხელმიუწვდომელი ოპერატიულ-

*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული  
სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს  
ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

ტექნიკური პერსონალი, რაც სადგურის საიმედოობის ზრდასთან ერთად სადგურს აარიდებს თავიდან ხელმისაწვდომი ოპერატიულ-ტექნიკური პერსონალის მიერ ზენორმატიულ მუშაობას;

- ტექნიკური დირექტორის პოზიციის დამატება (ერთი პოზიცია);
- მოთხოვნილი 5 საამქროს 5 საქმისმწარმოებლის პოზიციის ნაცვლად ერთი საწმისმწარმოებლის პოზიციის გათვალისწინებით, რომელმაც უნდა მოახდინოს ხუთივე საამქროს საქმისმწარმოება (ერთი პოზიცია).

რაც შეეხება ხელფასის ოდენობას, ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ თანამშრომელთათვის საშუალო ხელფასი განისაზღვროს თბოგენერაციის სეგმენტში ბოლო სატარიფო რეგულირებისას კომისიის მიერ შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოყენებული ერთგვაროვანი სტანდარტის მიხედვით, რომელიც ერთ პერსონაზე შეადგენს - **1,790** ლარს. შედეგად, შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ სატარიფო წლის წლიური სახელფასო ფონდი შეადგენს **3,694,560** ( $1,790 \cdot 172 \cdot 12$ ) ლარს.

ამასთან, ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს საწარმოს საოპერაციო ხარჯების ხელფასების მუხლში გათვალისწინებული იქნეს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამოწვეული ხარჯები (2019 წლის 1 იანვრიდან), ვინაიდან დამსაქმებელი მონაწილე დასაქმებულის სახელით, დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით ახორციელებს საპენსიო შენატანს დასაქმებულზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, დეპარტამენტის მიერ საწარმოსგან გამოთხოვილი იქნა 40 წელზე ნაკლები ასაკის მქონე თანამშრომელთა შესახებ ინფორმაცია, რომელმაც შეადგინა 140 კაცი, ხოლო მათთვის გადასახდელი საპენსიო შენატანის წლიური ხარჯი (2%) განისაზღვრა **60,144** ლარის ოდენობით.



*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული  
სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს  
ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

შედეგად სატარიფო გაანგარიშებაში გათვალისწინებული სახელფასო ფონდი განისაზღვრა **3,754,704** ლარის ოდენობით.

**საწარმოო ძირითადი საშუალებების მიმდინარე სარემონტო ფონდი** - შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მიერ კომისიაში წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიხედვით 2017 სატესტო წლის საწარმოო ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი შეადგენდა 728,341 ლარს. ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტის მიერ ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტთან ერთად შესწავლილი იქნა წარმოდგენილი მიმდინარე რემონტების, როგორც ფინანსური, ასევე ტექნიკური დასაბუთება და მიზანშეწონილობა. უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური საჭიროებისა და დოკუმენტური დასაბუთების ნაწილში დეპარტამენტებს შენიშვნა თითქმის არ ჰქონიათ, გარდა ერთი შემთხვევისა. კერძოდ, ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი მიზანშეწონილად არ მიიჩნევს მიმდინარე რემონტებში ასახული იქნეს რემონტების დროს გამოყენებული ის მარაგ-ნაწილები, რომელიც საწარმოს უსასყიდლოდ ჰქონდა მიღებული მომწოდებელი ქარხნისგან. აღნიშნული თანხა შეადგენდა 1,787 ლარს, რომლითაც შემცირებული იქნა მიმდინარე რემონტების მუხლი.

შესაბამისად, საწარმოო ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის მიზანშეწონილი დანახარჯი განისაზღვრა **726,554** ლარის ოდენობით, ნაცვლად საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი 728,341 ლარისა.

**საკომუნიკაციო ხარჯი** - შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მიერ კომისიაში წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიხედვით 2017 სატესტო წლის საკომუნიკაციო ხარჯი შეადგენდა 76,166 ლარს. აღნიშნულმა თანხამ განიცადა მცირედი ცვლილება დოკუმენტურად დადასტურების ნაწილში და წარმოდგენილი ხარჯი გაიზარდა 10 ლარით. შესაბამისად, სატარიფო გაანგარიშებაში გასათვალისწინებელმა მიზანშეწონილმა საკომუნიკაციო ხარჯმა შეადგინა **76,176** ლარი.

**სამივლინებო ხარჯი** - საწარმოს მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიხედვით 2017 სატესტო წლის სამივლინებო ხარჯი შეადგენდა 57,834 ლარს. სამივლინებო ხარჯის ანალიზისათვის დეპარტამენტმა შეისწავლა შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მიერ სატარიფო განაცხადთან ერთად წარმოდგენილი 2017 წლის მივლინებების რეესტრი, სადაც მოცემული იყო ხარჯების დეტალური ჩაშლა მივლინებული პირების მიხედვით.

დეპარტამენტმა მივლინებების ხარჯის შესწავლისას, კერძოდ, მივლინების ადგილის მიხედვით სამივლინებო ნორმების განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, იხელმძღვანელა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანებით დადგენილი სამივლინებო ნორმებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ მივლინებისას. გარდა ამისა, დეტალურად იქნა შესწავლილი თითოეული მივლინების დანიშნულება და შინაარსი, რის შედეგადაც მივლინების დანახარჯმა განიცადა კორექტირება (შემცირება) ჯამურად 32,727 ლარის ოდენობით. კერძოდ: დეპარტამენტის მიერ მიზანშეწონილ დანახარჯებში არ იქნა გათვალისწინებული საწარმოს დირექტორის მივლინება თანხით 19,040 ლარი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და თურქეთში, ქალაქ ანკარაში, გამომდინარე იქიდან, რომ მივლინება დაკავშირებული არ იყო რეგულირებად საწარმოსთან, ვინაიდან მივლინების მიზანს წარმოადგენდა გარდაბნის 230 მგვტ-იანი მეორე თბოელექტროსადგურის მშენებლობის პროექტთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. ასევე, დეპარტამენტის მიერ შესწავლილი იქნა მომწოდებელ ქარხანასთან მოლაპარაკებისა და თბოელექტროსადგურისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების მიღება-ტრანსპორტირების მიზნით, მივლინებაში გაგზავნილ თანამშრომელთა რაოდენობა და გამომდინარე საკითხის შინაარსისა და სპეციფიკიდან, რიგ შემთხვევებში მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მივლინებულ თანამშრომელთა რაოდენობის კორექტირება. ამ ცვლილების შედეგად მივლინების ხარჯი შემცირდა 13,687 ლარით.



*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული  
სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს  
ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ სამივლინებო ხარჯმა შეადგინა **25,106** ლარი, ნაცვლად საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი 57,834 ლარისა.

**საკონსულტაციო ხარჯი** - შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მიერ კომისიაში წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიხედვით 2017 სატესტო წლის საკონსულტაციო ხარჯი შეადგენდა 114,962 ლარს. ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტის მიერ შესწავლილი იქნა წარმოდგენილი დანახარჯების ფინანსური დასაბუთება და მიზანშეწონილობა. შედეგად, გამოვლინდა, რომ შპს „გარდაბნის თბოსადგურს“ სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტისგან“ შესყიდული აქვს მომსახურება, კერძოდ კი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 2013-2016 წლების შესაბამისობის აუდიტის ჩატარება, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 84,000 ლარს. გამომდინარე აღნიშნული ხარჯის შინაარსიდან, დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს მის გათვალისწინებას სატარიფო გაანგარიშებაში, თუმცა მხოლოდ იმ პერიოდიდან, როდესაც შპს „გარდაბნის თბოსადგური“ გახდა ლიცენზიატი და მოექცა სატარიფო რეგულირებაში ანუ 2016 წლიდან. შესაბამისად, სატარიფო გაანგარიშებაში გასათვალისწინებელ ხარჯებში ასახულ იქნა მხოლოდ 2016 წლის ხარჯი 21,000 ლარის ოდენობით.

შესაბამისად, საკონსულტაციო დანახარჯის მიზანშეწონილი ოდენობა განისაზღვრა **51,962** ლარის ოდენობით, ნაცვლად საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი 114,962 ლარისა.

**წარმომადგენლობითი ხარჯი** - შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მიერ სატარიფო განაცხადში მითითებული 2017 წლის წარმომადგენლობითი ხარჯების შესწავლის საწყის ეტაპზე მოხდა საწარმოსაგან დეტალური ინფორმაციის გამოთხოვა თითოეული სახის წარმომადგენლობითი ხარჯის შესახებ, რომელიც ჯამში შეადგენდა 39,579 ლარს.

*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

საწარმოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავებისა და დაჯგუფების შედეგად გამოიკვეთა, რომ წარმომადგენლობით ხარჯებში გაერთიანებული იყო სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გაწეული „წარმომადგენლობითი“ შინაარსის დანახარჯები, მათ შორის: პარტნიორებთან შეხვედრის დროს საქმიანი ვახშამის, სტუმართათვის საკონფერენციო და კვებითი მომსახურებების შესყიდვაზე გაწეული დანახარჯები. ასევე, საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მივლინებაში ყოფნისას გაწეული საქმიანი ვახშამის ხარჯები და საჩუქრებისა და ალკოჰოლური სასმელების შეძენაზე გაწეული დანახარჯები.

თითოეულ მათგანზე საწარმოს მიერ წარმოდგენილი განმარტებებისა და მოწოდებული დოკუმენტაციის განხილვის შედეგად ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს წარმომადგენლობითი ხარჯებიდან ამოღებული იქნეს საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მივლინებაში ყოფნისას გაწეული საქმიანი ვახშამის და საჩუქრებისა და ალკოჰოლური სასმელების შეძენაზე გაწეული ხარჯები ჯამში 17,714 ლარის ოდენობით.

შესაბამისად, მიზანშეწონილ დანახარჯად განისაზღვრა **21,865** ლარი, ნაცვლად საწარმოს მიერ მოთხოვნილი 39,579 ლარისა.

**დაცვის ხარჯი** - შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მიერ კომისიაში წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიხედვით 2017 სატესტო წელს დაცვის ხარჯი არ გააჩნდა. აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საწარმომ გააუქმა სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან“ გაფორმებული დაცვის მომსახურების ხელშეკრულება, რომლის წლიური ღირებულებაც შეადგენდა 320,339 ლარს და მის ნაცვლად საშტატო განრიგში დაამატა დაცვის სამსახური, რომლის შემადგენლობაც მიმდინარე სატარიფო განაცხადის შემადგენლობისას წარმოდგენილი მიმდინარე საშტატო განრიგის მიხედვით შეადგენდა 29 თანამშრომელს. თბოგენერაციის სეგმენტში ბოლო სატარიფო რეგულირებისას კომისიის მიერ შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოყენებული ერთგვაროვანი



*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული  
სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს  
ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

სტანდარტის მიხედვით ხელფასის ოდენობა ერთ თანამშრომელზე განსაზღვრულია 1,790 ლარის ოდენობით. შესაბამისად, თუ მოხდებოდა აღნიშნული 29 თანამშრომლის სახელფასო ფონდში გათვალისწინება, დაცვის ხარჯი სატარიფო გაანგარიშებაში ასახული უნდა ყოფილიყო 622,920 ლარის ოდენობით, რასაც დეპარტამენტი არ მიიჩნევს გონივრულად და მიზანშეწონილად და მიგვაჩნია, რომ აღნიშნული 29 თანამშრომელი არ იქნეს გათვალისწინებული საშტატო განრიგში, ხოლო დაცვის მომსახურების ხარჯი კი განისაზღვროს წინა სატარიფო რეგულირებისას მიზანშეწონილ დანახარჯად მიჩნეული ოდენობით, რომელიც შეადგენს **320,339** ლარს.

**დაზღვევის ხარჯი** - შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილ დაზღვევის ხარჯთან დაკავშირებით დეპარტამენტის მიერ შესწავლილი იქნა სადაზღვევო კომპანიებთან გაფორმებული მოქმედი ხელშეკრულებები და სხვა შესაბამისი დოკუმენტები (სადაზღვევო პოლისები, ინვოისები, მიღება-ჩაბარების აქტები) საწარმოს ქონების (სხვადასხვა რისკებზე), ავტომობილების და თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევაზე.

შპს „გარდაბნის თბოსადგურსა“ და სს სადაზღვევო კომპანია „უნისონს“ შორის ქონების დაზღვევის ხელშეკრულების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ლიცენზიატი საწარმოს მიერ დაზღვევის საგანს წარმოადგენდა შემდეგი რისკები:

- დამზღვევის საკუთრებაში ან იურიდიული განკარგვის ქვეშ არსებული ქონების დაზღვევა ხელშეკრულებაში მითითებული ყველა რისკისგან;
- მანქანა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლა;
- მანქანა დანადგარების მწყობრიდან მოულოდნელი და/ან გაუთვალისწინებელი გამოსვლის შედეგად მოგების დაკარგვა;ს
- ბიზნესის შეფერხება გამოწვეული ხელშეკრულებაში მითითებული ქონების დაზიანების შედეგად;

*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

- ყოველმხრივი ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევა (დაზღვეული საქმიანობის განხორციელების შედეგად სამოქალაქო პასუხისმგებლობა წარმოშობილი მესამე პირების ჯანმრთელობაზე, სიცოცხლეზე ან/და ქონებაზე დამდგარი ზიანის შედეგად).

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს მოცემულ სატარიფო გაანგარიშებაში გათვალისწინებული იქნეს მხოლოდ ქონების (ხელშეკრულებაში მითითებული ყველა რისკისგან) და მანქანა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლის რისკების დაზღვევის ხარჯი და არა დანარჩენი რისკების დაზღვევის ხარჯი. აღნიშნულის შესაბამისად, დაზუსტებული იქნა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული სადაზღვევო მომსახურების ჯამური ღირებულება და 2019 წლის ტარიფში გასათვალისწინებელ მიზანშეწონილ ოდენობად განისაზღვრა **524,432** ლარი, ნაცვლად 605,446 ლარისა.

სს სადაზღვევო კომპანია „უნისონთან“ გაფორმებული ავტომობილების დაზღვევის ხარჯის შესწავლისას გამოვლინდა, რომ მიზანშეწონილი დანახარჯი ნაცვლად კომპანიის მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი 8,740 ლარისა, შეადგენდა **9,610** ლარს.

ასევე, ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯთან მიმართებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვა ლიცენზიატი საწარმოების სატარიფო რეგულირების ფარგლებში გამოყენებული მარეგულირებელი მიდგომები. კერძოდ, დაზღვევის ხარჯში გათვალისწინებული უნდა იქნეს შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ თანამშრომელთა (ტექნიკური პერსონალი) ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯი სს სადაზღვევო კომპანია „ალფასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური სადაზღვევო მინიმალური შენატანის (საბაზისო სადაზღვევო პაკეტი) ოდენობით, რომელიც ერთ პირზე შეადგენს



*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული  
სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს  
ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

- 55.56 ლარს საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით (44.45 ლარი საშემოსავლო გადასახადის გარეშე), ხოლო 111 თანამშრომელზე წელიწადში შეადგენს - **74,009** ლარს.

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გათვალისწინებით, შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ 2019 სატარიფო წლის დაზღვევის ხარჯი უნდა განისაზღვროს **608,051** ლარის ოდენობით, ნაცვლად საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი 754,402 ლარისა.

**ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური და კომისიის რეგულირების**

**საფასური** - გამომდინარე იქიდან, რომ ორივე დანახარჯი წარმოადგენს არაკონტროლირებად საოპერაციო დანახარჯს და ამ ხარჯებთან დაკავშირებული მომსახურების საფასურები გაიანგარიშება ერთი მხრივ, „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფის, ხოლო მეორე მხრივ „ელექტროენერჯეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში რეგულირების საფასურის გაანგარიშების და გადახდის წესების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №24 დადგენილებით დამტკიცებული კოეფიციენტის შესაბამისად, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ (ესკო) მომსახურების საფასური **0,019 თეთრი/კვტსთ** და კომისიის რეგულირების საფასური რეგულირებადი საქმიანობიდან მისაღები (დარიცხული) შემოსავლის **0,2%-ის** ოდენობით, დეპარტამენტის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ნაცვლად სატესტო წლის მონაცემებისა, პროექტში გათვალისწინებული იყოს ზემოაღნიშნული წესით გაანგარიშებული 2019 წლის საპროგნოზო ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემების შესაბამისად. შედეგად, სატარიფო წლისთვის ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური უნდა განისაზღვროს **221,616** ლარის, ხოლო კომისიის რეგულირების საფასური - **230,383** ლარის ოდენობით.

**სხვა საოპერაციო ხარჯები** - საწარმოს მიერ წარმოდგენილ სატარიფო განაცხადში მითითებული საოპერაციო დანახარჯების მუხლი ასევე მოიცავდა „სხვა საოპერაციო დანახარჯებს“ ჯამურად 5,629,302 ლარის ოდენობით, მათ შორის დანახარჯებს შემდეგი საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე:

- სადგურის ოპერირება და მიმდინარე მოვლა-პატრონობის მომსახურება;
- ავტოტრანსპორტის საწვავი და ტექნიკური მომსახურება;
- ექსპერტიზის ხარჯი;
- საექსპლუატაციო და სამეურნეო ხარჯები - ნედლეული, სპეც. ტანსაცმელი და ხელსაწყოები;
- სარეკლამო-საინფორმაციო მომსახურების ხარჯი;
- მშენებლობისა და რეგისტრაციის მოსაკრებლები;
- სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის ხარჯი;
- თარჯიმნის, ნოტარიუსისა და სხვა იურიდიული მომსახურებების ხარჯები;
- ტერიტორიის მოვლა-დასუფთავების ხარჯები;
- ბანკების საკომისიო ხარჯები;
- და სხვა.

ზემოხსენებული ხარჯებიდან დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს დაკორიქტირდეს რამოდენიმე პუნქტი, კერძოდ:

1. შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მიერ „ოპერირების საკონსულტაციო და სარემონტო სამუშაოებში დახმარების“ მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდის ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)) საშუალებით) გაფორმებული აქვს სს „CALIK ENERJI SANAYI VE TICARET“-ის საქართველოს ფილიალთან. საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი 2017 სატესტო წლის სადგურის ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის ხარჯი შეადგენდა 5,023,837 ლარს,



*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული  
სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს  
ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

რომელიც საწარმოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შეიცვალა და მიზანშეწონილმა დანახარჯმა ნაცვლად ზემოხსენებული თანხისა, შეადგინა **5,024,674** ლარი;

2. საწარმოს ცვლაში მომუშავე თანამშრომელთა ტრანსპორტირებასა და კვებასთან დაკავშირებული ხარჯები ასახული ჰქონდა სატარიფო განაცხადის სახელფასო ხარჯში. გამომდინარე იქიდან, რომ კომისიის მიერ რამოდენიმე წლიანი რეგულირების შედეგად დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცვლაში მომუშავე თანამშრომელთათვის კვებისა და ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსება, დეპარტამენტის მიერ მოხდა აღნიშნული ხარჯის გამოყოფა სახელფასო ხარჯიდან და გათვალისწინებული იქნა სხვა საოპერაციო დანახარჯების მუხლში **21,990** ლარის ოდენობით;
3. დეპარტამენტმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია, სატარიფო წლის საოპერაციო ხარჯებში გათვალისწინებული ყოფილიყო სარეკლამო მომსახურების, ჯარიმებისა და საურავების, აგრეთვე, დაცვის სამსახურის თანამშრომელთა სპეც. ტანსაცმლის ჩამოწერის ხარჯები, ჯამში **8,859** ლარის ოდენობით.

ყველა ზემოაღნიშნული კორექტირების გათვალისწინებით შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ სხვა საოპერაციო ხარჯები სატარიფო განაცხადით წარმოდგენილთან შედარებით გაიზარდა 13,968 ლარით და მიზანშეწონილი დანახარჯი განისაზღვრა **5,643,270** ლარის ოდენობით, ნაცვლად საწარმოს მიერ წარმოდგენილი 5,629,302 ლარისა.

დეპარტამენტის მიერ დოკუმენტური დადასტურებისა და შინაარსობრივი ანალიზის შედეგად, ცვლილება არ განხორციელებულა შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილ შემდეგ საოპერაციო დანახარჯებთან მიმართებაში:

- ✓ წყლის ტექნიკური მოხმარების ხარჯი;

*შპს „გარდაზნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული  
სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს  
ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

- ✓ ელექტროენერჯის კომუნალური და სამეურნეო ხარჯი;
- ✓ კომუნალური ხარჯი (ელექტროენერჯის გარდა);
- ✓ ქონების გადასახადი;
- ✓ მიწაზე ქონების გადასახადი.

**ცვლადი საოპერაციო დანახარჯები**

*(ელექტროენერჯის წარმოება)*

სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად განისაზღვრა თბოელექტროსადგურის მიერ ელექტროენერჯის წარმოებისთვის მოხმარებული ბუნებრივი გაზის საშუალო შეწონილი ფაქტობრივი ხვედრითი ხარჯი (ბუნებრივი გაზის ფაქტობრივი ხარჯი/ელექტროენერჯის ფაქტობრივი გაცემა) 2017 წლის დეკემბრიდან 2018 წლის ნოემბრის ჩათვლით პერიოდზე. აღნიშნულმა კოეფიციენტმა შეადგინა **0.204038** მ<sup>3</sup>/კვტსთ, ხოლო 2019 სატარიფო წლისათვის ელექტროენერჯის სალტეზე გასაცემი ოდენობა განისაზღვრა **1,296.177** მლნ.კვტსთ-ის ოდენობით, რომელიც აღებული იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2018 წლის 5 დეკემბრის №1-1/547 ბრძანებით დამტკიცებული 2019 წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსიდან. შესაბამისად, 2019 სატარიფო წლისთვის დაგეგმილმა ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი გაზის ოდენობამ შეადგინა **264,469.695** ათასი კუბური მეტრი. აღნიშნული მონაცემების განსაზღვრისას ინფორმაციები მოწოდებული იქნა, როგორც საწარმოს სატარიფო განაცხადის ფარგლებში, ასევე, ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორიდან (ელექტროენერჯის ფაქტობრივი გამომუშავება და სალტეზე გაცემა თვეების მიხედვით) და საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიიდან (ელექტროენერჯის წარმოებისთვის საჭირო ბუნებრივი გაზის ფაქტობრივი ხარჯი თვეების მიხედვით).



*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული  
სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს  
ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით ბუნებრივი გაზის ერთეულის შესყიდვის ფასია **143** აშშ დოლარი/1000 მ<sup>3</sup> დღე-ის გარეშე (შენიშვნა: ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრულია ანგარიშსწორების პირობები ეროვნულ ვალუტაში – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ყოველი თვის ბოლო საბანკო დღისთვის ლარის აშშ დოლართან მიმართებაში დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით). 2019 წლის სატარიფო მიზნებისათვის ლარის აშშ დოლართან მიმართებით გაცვლით საპროგნოზო კურსად აღებული იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი 2018 წლის 27 დეკემბერისთვის (ტარიფის დადგენის დღე) მოქმედი ლარის აშშ დოლართან მიმართებით გაცვლითი კურსი, რომელმაც შეადგინა **2.6639**. გაზის ტრანსპორტირების ტარიფი დადგენილია კომისიის მიერ – **18.70** ლარი/1000 მ<sup>3</sup> დღე-ის გარეშე (ბუნებრივი გაზი საწარმოს მიეწოდება უშუალოდ გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მაგისტრალური ქსელის საშუალებით). ზემოხსენებულის გათვალისწინებით ბუნებრივი გაზის შესყიდვის ფასი განისაზღვრა **399.6377** (143\$\*2.6639+18.70) ლარი/1000 მ<sup>3</sup>-ზე. შესაბამისად, ტარიფში გასათვალისწინებელი სათბობის საერთო ღირებულება უნდა შეადგენდეს **105,692,061** (264,469.695\*399.6377) ლარს.

თბოელექტროსადგურში ელექტროენერჯის გამომუშავებისათვის სამეურნეო წყლის ფილტრაცია/გასუფთავებისათვის საჭირო ქიმიური საშუალებების (ქიმიკატების) ხარჯი შეადგენს **504,757** ლარს.

რეგულირების საფასურის საპროგნოზო ოდენობის გაანგარიშება ასევე მოხდა კანონშესაბამისად (კომისიის მიერ დამტკიცებული „რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და გადახდის წესების დამტკიცების შესახებ“ 2008 წლის 18 სექტემბრის №24 დადგენილების მიხედვით – კოეფიციენტი 0.002). ზემოაღნიშნული მიდგომის გათვალისწინებით რეგულირების საფასურის საპროგნოზო ოდენობამ ცვლადი დანახარჯების ნაწილში შეადგინა **215,726** ლარი.

*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული  
სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს  
ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

სატარიფო მეთოდოლოგიის თანახმად, კორექტირების გაანგარიშება განხორციელდა გასული რეგულირების პერიოდისთვის (12.2017-11.2018), შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ საკუთრებაში არსებული აირტურბინული ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი აირის შესყიდვისას უცხოურ ვალუტასთან (აშშ დოლარი) მიმართებაში ლარის კურსის დაგეგმილი და ფაქტობრივი სხვაობით და ასევე, ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი აირის ხვედრითი ხარჯის დაგეგმილი და ფაქტობრივი მნიშვნელობების სხვაობით მიღებული სარგებლის ან ზარალის მიმართ. კერძოდ, დეპარტამენტის მიერ ზემოაღნიშნულ ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებული იქნა აღნიშნული ფაქტორებით მიღებული სხვაობა, მოქმედი (კომისიის მიერ დადგენილი) ტარიფით განსაზღვრულ შესაბამის მაჩვენებლებთან მიმართებაში. შედეგად, ვალუტის კურსთა შორის სხვაობამ დროში ფულის ღირებულების (WACC) გათვალისწინებით შეადგინა ზარალი 1,462,307 ლარის ოდენობით, ხოლო ბუნებრივი გაზის ხვედრითი ხარჯის მნიშვნელობებს შორის სხვაობამ, იგივე დროში ფულის ღირებულების (WACC) გათვალისწინებით შეადგინა ზარალი 648,164 ლარის ოდენობით, სულ – 2,110,471 ლარი. ასევე, კორექტირებას დაექვემდებარა 2017 წლის რეგულირების საფასური და სხვა ცვლადი საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც აგრეთვე დაკორექტირდა დაგეგმილ და ფაქტობრივად სალტეზე გაცემულ ელექტროენერჯის მოცულობებს შორის გამოწვეული სხვაობითაც. შედეგად, ზემოაღნიშნული კორექტირებებისა და ამასთან, დადგენილი ტარიფით განსაზღვრული ყველა კორექტირების (მათ შორის ე.წ. გრძელვადიანი კორექტირების) შესრულების სალდირებულმა ნაშთმა მიმდინარე სატარიფო პერიოდის გაანგარიშებისათვის მთლიანობაში შეადგინა დადებითი სალდო **1,450,638** ლარის ოდენობით.



*შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული  
სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს  
ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ*

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით შპს „გარდაბნის თბოსადგურის“  
ცვლადი საოპერაციო დანახარჯების გაანგარიშება გამოიყურება შემდეგნაირად:

ინფორმაციის დასახელება	პროექტი
სულ ცვლადი საოპერაციო დანახარჯი, მათ შორის:	<b>107,863,182</b>
მოხმარებული ბუნებრივი გაზის რაოდენობა, ათ. მ <sup>3</sup>	264,469.695
ბუნ.გაზის საშუალო წლიური ხვედრითი ხარჯი ელექტროენერჯის სალტეზე გაცემასთან	0.204(038)
ბუნებრივი გაზის ფასი, აშშ დოლარი/1000 მ <sup>3</sup>	143
ვალუტის გაცვლითი საპროგნოზო კურსი	2.6639
ტრანსპორტირების ტარიფი, ლარი/1000 მ <sup>3</sup>	18.70
ელექტროენერჯის გამომუშავება, მლნ კვტსთ	1,350.100
ელექტროენერჯის გაცემა სალტეზე, მლნ კვტსთ	1,296.177
ბუნებრივი გაზის ღირებულება, ლარი	<b>105,692,061</b>
რეგულირების საფასური, ლარი	<b>215,726</b>
ქიმიური რეაგენტების ხარჯი, ლარი	<b>504,757</b>
კორექტირება CORR, (12/2017-11/2018), ლარი	<b>1,450,638</b>

**სატარიფო მეთოდოლოგიით განსაზღვრული კორექტირების კომპონენტები**

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი  
ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილების დანართი №3-ით  
დამტკიცებული გარანტირებული სიმძლავრის საფასურის, გარანტირებული  
სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების და ელექტროენერჯეტიკული

ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის მე-4 თავის თანახმად გათვალისწინებულია სატარიფო წლისთვის ტარიფების კორექტირება კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯებისა და არასაოპერაციო შემოსავლების კორექტირების მაჩვენებლებით, კერძოდ:

ა) კაპიტალური დანახარჯების კორექტირება - სატარიფო მეთოდოლოგიის მიხედვით კაპიტალური დანახარჯების კორექტირებული ოდენობა შედგება ამონაგებისა და ცვეთის კომპონენტების კორექტირებული ოდენობებისაგან. შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ კაპიტალური დანახარჯების კორექტირება შეეხო 2017 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეებში განხორციელებულ ინვესტიციებს რეგულირებად აქტივებში, რომლებიც წინა სატარიფო რეგულირებისას უნდა ასახულიყო 2018 წლის ტარიფში, თუმცა ვერ იქნა ასახული, გამომდინარე იქიდან რომ ტარიფის გაანგარიშების 2017 წელს ინვესტიციები წარმოდგენილი იყო 10 თვის (ოქტომბრის ჩათვლით) მდგომარეობით. 2018 წლის ტარიფში ასახული რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 491,905,002 ლარს, 2018 წლის ცვეთა კი - 19,835,516 ლარს, რაც შეეხება ფაქტობრივ მონაცემებს, რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა 492,382,745 ლარის ოდენობით, ხოლო 2018 წლის ცვეთა - 19,847,543 ლარის ოდენობით. შესაბამისად, დაგეგმილსა და ფაქტობრივ მონაცემებს შორის სხვაობა რეგულირებადი აქტივების ბაზაში შეადგენს 477,743 ლარს, აღნიშნულ ინვესტიციებზე ამონაგების ოდენობა განისაზღვრა 78,350 ( $477,743 \cdot 16.40\%$ ) ლარის ოდენობით, ხოლო 2018 წლის წლიური ცვეთის ოდენობა - 12,027 ლარის ოდენობით. გამომდინარე იქიდან, რომ ეს თანხები საწარმოს უნდა მიეღო 2018 წლის ტარიფით, 2019 წლის ტარიფში აღნიშნული თანხების კომპენსაცია უნდა მოხდეს დროში ფულის ღირებულების (ერთ წლიანი ჩამორჩენის) გათვალისწინებით. დროში ფულის ღირებულების განაკვეთი სატარიფო მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრულია



შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ

მოზიდული კაპიტალის ღირებულების ოდენობით და უდრის 12.93%-ს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამონაგებისა და ცვეთის კომპონენტების საკორექტირო ოდენობები დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით შეადგენს ჯამში – **102,063** ლარს.

2017 წელს განხორციელებული ინვესტიციების კორექტირება	<b>477,743</b>
Rd (მოზიდული კაპიტალის ღირებულება 2018 წ./ /დროში ფულის ღირებულების განაკვეთი)	<b>12,93 %</b>
ამონაგები განხორციელებულ ინვესტიციებზე (INV * WACC)	<b>78,350</b>
ამონაგების კორექტირებული ოდენობა დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით (cRAB <sub>2019</sub> )	<b>88,481</b>
წლიური ცვეთა განხორციელებულ ინვესტიციებზე (DEP)	<b>12,027</b>
კორექტირებული წლიური ცვეთის ოდენობა დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით (cDEP <sub>2019</sub> )	<b>13,582</b>
კაპიტალური დანახარჯების კორექტირებული ოდენობა (cCAPEX <sub>2019</sub> )	<b><u>102,063</u></b>

ბ) საოპერაციო დანახარჯების კორექტირება - სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად, განსაზღვრულია საოპერაციო დანახარჯების კორექტირებაც - თუ სატარიფო წლისთვის საწარმოს მიერ ფაქტობრივად გაწეული საოპერაციო დანახარჯები განსხვავდება შესაბამისი ტარიფის დადგენისას გათვალისწინებული საოპერაციო დანახარჯების ოდენობისაგან, მაშინ კომისია უზრუნველყოფს საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის კორექტირებას. შესაბამისად, კორექტირებას უნდა დაექვემდებაროს შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ 2017 წლის ტარიფის გაანგარიშებისთვის დაგეგმილი ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები და უნდა მოხდეს მათი გაკორექტირება 2017 წლის შესაბამის ფაქტობრივ ხარჯებთან მიმართებაში. ცხრილში წარმოდგენილია აღნიშნული კორექტირების მაჩვენებლები, თითოეული საოპერაციო დანახარჯის მიხედვით:

შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ

დასახელება	2017 წლის ტარიფში ასახული	2017 წლის ფაქტიური ხარჯი	სხვაობა
სახელფასო ფონდი	3,608,640	3,608,640	-
საწარმოო ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი	532,538	726,554	194,016
წყლის ტექნიკური მოხმარების ხარჯი	59,322	59,322	-
ელექტროენერჯის კომუნალური და სამეურნეო ხარჯი	304,500	278,804	(25,696)
კომუნალური ხარჯი (ელექტროენერჯის გარდა)	36,000	101,267	65,267
საკომუნიკაციო ხარჯი	66,000	76,176	10,176
საკანცელარიო ხარჯი	3,000	-	(3,000)
სამივლინებო ხარჯი	16,500	25,106	8,606
საკონსულტაციო ხარჯი	136,711	51,962	(84,749)
წარმომადგენლობითი ხარჯი	18,000	21,865	3,865
დაცვის ხარჯი	320,339	320,339	-
დაზღვევის ხარჯი	604,581	608,051	3,471
ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური	223,093	222,029	(1,065)
კომისიის რეგულირების საფასური	206,330	206,330	-
ქონების გადასახადი	3,518,877	4,122,770	603,893
მიწაზე ქონების გადასახადი	90,059	64,572	(25,487)
სხვა საოპერაციო ხარჯები	5,325,918	5,643,270	317,352
<b>ჯამი</b>	<b>15,070,409</b>	<b>16,137,057</b>	<b>1,066,649</b>

რაც შეეხება, დროში ფულის ღირებულების პრინციპს, ვინაიდან საწარმოს ფაქტობრივი დანახარჯები 2017 წლისთვის მეტი იყო დაგეგმილთან შედარებით, მიღებული დანაკლისი საწარმოს 2019 წლის ტარიფში უნდა აუნაზღაურდეს 2 წლიანი ჩამორჩენით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯების დასაკორექტირებელი ოდენობა დროში ფულის ღირებულების



შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ

გათვალისწინებით უნდა შეადგენდეს **1,367,665** ლარს  $((1,066,649) \cdot (1+13,54\%) \cdot (1+12,93\%))$ .

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სულ დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი, გარანტირებული სიმძლავრის საფასურის გაანგარიშების მიზნებისათვის, უნდა შეადგენდეს **1,469,728** ლარს:

TOTAL CORR - დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი	
საოპერაციო დანახარჯების საკორექტირო ოდენობა (cOPEX <sub>2019</sub> )	<b>1,367,665</b>
კაპიტალური დანახარჯების საკორექტირო ოდენობა (cCAPEX <sub>2019</sub> )	<b>102,063</b>
სულ დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი (Total CORR=cOPEX <sub>2019</sub> +cCAPEX <sub>2019</sub> )	<b><u>1,469,728</u></b>

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი თვლის, რომ შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ სატარიფო წლის კორექტირებული რეგულირებადი დანახარჯების ბაზა გარანტირებული სიმძლავრის საფასურის გაანგარიშებისთვის უნდა განისაზღვროს **115,191,445** ლარის ოდენობით, ხოლო ცვლადი საოპერაციო დანახარჯების ბაზა – **107,863,182** ლარის ოდენობით.

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მოქმედი სატარიფო მეთოდოლოგიის საფუძველზე, გარანტირებული სიმძლავრის საფასური დგინდება ყოველდღიურ განაკვეთზე (ბაზისზე).

შესაბამისად, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2018 წლის 22 ნოემბრის №6643/17 წერილის მიხედვით განისაზღვრა შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ სატარიფო წელზე გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფის პერიოდი და მან შეადგინა **300** დღე.

შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილ დოკუმენტაციებზე დაყრდნობით და დადგენილი სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად, დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ გარანტირებული სიმძლავრის საფასური შპს „გარდაბნის თბოსადგურისთვის“ განისაზღვროს – **383,971** ლარი/დღეზე, ხოლო გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული ტარიფი – **8.322** თეთრი/კვტს-ზე.

**რეგულირებადი დანახარჯების ბაზა და ტარიფები**

დასახელება	2018 წ. მოქმედი	2019 წ. პროექტი
კაპიტალური დანახარჯები სულ (CAPEX)	100,507,936	97,414,956
ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები სულ (FIX OPEX)	16,512,410	16,306,761
დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი (Total CORR)	(1,252,529)	1,469,728
გარანტირებული სიმძლავრის რეგულირებადი დანახარჯები სულ (GUARANTEED RCB=CAPEX+FIX OPEX)	115,767,817	<u>115,191,445</u>
გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფის პერიოდი (დღე)	300	300
გარანტირებული სიმძლავრის საფასური, ლარი/დღეზე	385,893	<u>383,971</u>
ცვლადი საოპერაციო დანახარჯები სულ (VAR. OPEX)	80,696,003	<u>107,863,182</u>
ელექტროენერჯის სალტეზე გაცემა (მლნ. კვტსთ)	1,007.163	1,296.177
ელ.ენერჯის წარმოების ზღვრული ტარიფი, (თეთრი/კვტს)	8.012	<u>8.322</u>

ტარიფები გაიანგარიშება დღგ-ის გარეშე.

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი  
27 დეკემბერი, 2018 წელი

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი  
27 დეკემბერი, 2018 წელი